| სასწავლო პროგრამის მიმწოდებელი | სსიპ- საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი<br><br>საიდენტიფიკაციო კოდი 204423230 |
|---|---|

| | |
|---|---|
| **მიზნები** | სასწავლო პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მიერ იურიდიული პირების დაფუძნების და მართვის ძირითადი მიმართულებების გაცნობით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსადმი დაქვემდებარებულ ორგანოში, გამგეობაში/მერიაში დასაქმებულ მოხელეთათვის კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაბამისი თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ცოდნის მიცემასა და უნარ-ჩვევების განვითარებაში ხელშეწყობა. |
| **შესასწავლი ძირითადი თემები** | • საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“<br>• საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი მიმოხილვა მუნიციპალიტეტების მიერ იურიდიული პირების დაფუძნებასთან/მართვასთან მიმართებით<br>• არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების არსი და ფუნქცია; სახელი, რეგისტრაცია და რეგისტრაციის პირობები, საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი; ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა; მათი ქონების გასხვისება, ზიანის ანაზღაურება; რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.<br>• საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ სპეციალური ნორმები არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან მიმართებით.<br>• სააქციო საზოგადოების არსი, ფუნქცია და დანიშნულება; დაფუძნება; სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა<br>• შეზღუდული პასუხისმგებლობის არსი, ფუნქცია და დანიშნულება; დაფუძნება; ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა<br>• მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის თავისებურებები - პრაქტიკული საკითხები<br>• მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა დაფუძნებული იურიდიული პირების მხრიდან. |

| | |
|---|---|
| სწავლის შედეგები | **მსმენელმა იცის:**<br>• საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებული ზოგადი საკითხები მუნიციპალიტეტების მიერ იურიდიული პირების დაფუძნებასთან/მართვასთან მიმართებით<br>• საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ზოგადი საკითხები მუნიციპალიტეტების მიერ იურიდიული პირების დაფუძნებასთან/მართვასთან მიმართებით<br>• „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზოგადი საკითხები მუნიციპალიტეტების მიერ იურიდიული პირების დაფუძნებასთან/მართვასთან მიმართებით<br>• არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების არსი და ფუნქცია<br>• საკანონმდებლო რეგულაციები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სახელის, რეგისტრაციისა და რეგისტრაციის პირობების შესახებ<br>• საკანონმდებლო რეგულაციები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის შესახებ<br>• საკანონმდებლო რეგულაციები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის შესახებ<br>• საკანონმდებლო რეგულაციები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქონების გასხვისების, ზიანის ანაზღაურების; რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ<br>• საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ სპეციალური ნორმები არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან მიმართებით<br>• სააქციო საზოგადოების არსი, ფუნქცია და დანიშნულება; დაფუძნება; სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხები და საკანონმდებლო რეგულირება<br>• შპს-ს არსი, ფუნქცია და დანიშნულება; დაფუძნება; ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხები და საკანონმდებლო რეგულირება.<br>• მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის თავისებურებები - პრაქტიკული საკითხები.<br>• მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა დაფუძნებული იურიდიული პირების მხრიდან. |

**მსმენელს შეუძლია:**

- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული/დასაფუძნებელი იურიდიული პირის სახის შესაბამისად, სათანადო კანონმდებლობის გამოყენება; შემთხვევის შესაბამისად, სათანადო საკანონმდებლო ნორმის გამოყენება; შემთხვევის შესაბამისად, სათანადო იურიდიული პირის დაფუძნების საკითხის განსაზღვრა.
- ა(ა)იპ-ს შექმის საჭიროების განსაზღვრა; მოამზადოს ა(ა)იპ-ის რეგისტრაციისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და მისი რეგისტრაციისათვის წარდგენა; ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირისთვის ფუნქციების განსაზღვრა; წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირისა და მისი ფუნქციების განსაზღვრა; კომპეტენციის ფარგლებში, ა(ა)იპ-ის ქონების განკარგვა და, საჭიროებისამებრ, ზიანის ანაზღაურება; ა(ა)იპ-ის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებით და შესაბამისი პროცედურების განხორციელება.
- სფეროების განსაზღვრა, რომელთა კოორდინაციის მიზნით, შესაძლოა დაფუძნდეს ა(ა)იპ; სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთობლივი ა(ა)იპ-ის დაფუძნების საკითხების მოსაწესრიგებლად მუნიციპალიტეტის წარმოდგენა; სათანადო გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება საკრებულოსთან მუნიციპალიტეტის ურთიერთობის ფარგლებში
- სააქციო საზოგადოების შექმნის აუცილებლობის/საჭიროების დასაბუთება; სააქციო საზოგადოების შესაქმნელად და დასარეგისტრირებლად შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება; სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე და წარმადგენლობაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილების პროექტის მომზადება; განახორციელოს აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება და შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება; პროექტის მომზადება, კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად, ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის თაობაზე.
- შპს-ს შექმნის აუცილებლობის/საჭიროების დასაბუთება; შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება შპს-ს შესაქმნელად და დასარეგისტრირებლად; შპს-ს ხელმძღვანელობასა და

| | |
|---|---|
| | • იმ საკითხების იდენტიფიცირების მოხდენა, რომლებიც შედის მუნიციპალიტეტის, როგორც დამფუძნებელის კომპეტენციაში; შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების განხილვა და მომზადება იმ საკითხებზე, რომლებიც შედის დამფუძნებლის კომპეტენციაში; დამფუძნებლის კომპეტენციის ფარგლების განსაზღვრა სასამართლო დავის შემთხვევაში.<br>• შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების გადაცემის შესახებ; შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება იურიდიული პირების ქონების/წილების/აქციების განკარგვის თაობაზე. |
| **მოცულობა** | კრედიტი - 0,7 საკონტაქტო საათი - 14 |
| **მწვრთნელი/მწვრთნელები** | სალომე ქავთარაძე<br>ნინო ფურცხვანიძე |
| **სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია** | ნინო რომაშვილი<br>ელფოსტა: nromashvili@tcj.gov.ge<br>ტელ.: 2382259; 599588801 |